



ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვამტკიცებ"

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და
უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
სოფიო დვალიშვილი

[Handwritten signature]

"9" სექტემბერი 2018 წელი

N 54/36

გვ: N:1

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

სარჩევი

ტერმინთა განმარტება	3
ზოგადი ინფორმაცია სამინისტროს შესახებ.....	4
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა	6
1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	6
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	
1.1.1 მოთხოვნები	6
1.2.1 ვალდებულებები.....	10
1.2.2 ძირითადი აქტივები.....	12
1.2.3 მატერიალური მარაგები	16
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	18
2.1. შრომის ანაზღაურების დარიცხვასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სისტემის ხარვეზები	18
2.2. დანამატი	21
2.3. ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციის ხარვეზები	22
2.4. სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა და აღრიცხვა-ანგარიშგების ზოგადი პრობლემები	24
2.5. განმარტებით შენიშვნებში ანგარიშგების მუხლების შესახებ არასაკმარისი ინფორმაცია	26
2.6. დებიტორების მიერ უკან დაბრუნებული თანხები	26
3. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით	28
4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით	29
ფინანსური ანგარიშგების ფორმები.....	31

ტერმინთა განმარტება

სამინისტრო - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

მინისტრი - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი;

სამინისტროს ცენტრალური აპარატი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფები რომლებიც ფინანსდებიან 30 01 01 01 პროგრამული კოდით;

წინა აუდიტი - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის (30 01 01 01) 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი;

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ეკონომიკური დეპარტამენტი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტი;

ლოჯისტიკის დეპარტამენტი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტი;

საბუღალტრო სამსახური ან ბუღალტერია - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს;

სსღც - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრი;

გდდ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი;

შპს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;


ცკპდ - ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი;

სამთო მაშველი - ყოფილი სსიპ - სპეციალიზებული სამთო მაშველი.

ზოგადი ინფორმაცია სამინისტროს შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი დაწესებულებების სისტემა, რომელიც ახორციელებს პრევენციულ და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად.

სქემა N1. სამინისტროს სტრუქტურა



2017 წელს შსს-ს მმართველობის სფეროში შედიოდა 7 სსიპ, 2018 წლის დასაწყისში კი 2 სსიპ¹ გადავიდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შემადგენლობაში.

ცხრილი N1. სამინისტროს პროგრამების საბიუჯეტო დაზუსტებული ასიგნებები (ათას ლარებში)

პროგ. კოდი	დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულება (%)
30 00	შინაგან საქმეთა სამინისტრო	606,772.70	607,741.04	100.16
30 01	საზ. წესრ., სახ.საზლ. დაცვა და საერთაშ. თანამშრ. განვითარება/გაღრმავება	523,049.99	524,332.51	100.25
30 01 01 01	შსს-ს ცენტრალური აპარატი	220,281.07	221,826.82	100.7
30 02	ეროვნ. საგანმ., დიპლომატ. წარმომ. და საპატრიარქოს დაცვის უსაფრთხ. დონის ამაღლება	9,611.57	9,481.22	98.64
30 03	სამართალდამც. სტრუქტ. მაღალკვ. კადრების მომზადება- გადამზ., საარქივო ფონდ. დიგიტალ., სამეცნ.-კვლევ. საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება	6,397.13	6,754.36	105.58
30 04	შსს-ს მოსამსახ. ჯანმრთ. დაცვის მომსახ. უზრუნველყოფა	5,179.32	5,168.51	99.79
30 05	სახელმწ. მატერ. რეზერვ. შექმნა და მართვა	682.90	658.75	96.46
30 06	სამოქ. უსაფრთხოების დონის ამაღლება	61,851.79	61,345.70	99.18

¹ სსიპ საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი (პროგრამული კოდი 30 05), სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო (პროგრამული კოდი 30 06)

30 01 პროგრამა² წარმოდგენილია 2 სახაზინო კოდის სახით: შსს-ს ორგანოები (კოდი 30 01 01) და შსს-ს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია (კოდი 30 01 02).

შსს ორგანოების (პროგრამული კოდი 30 01 01) დაფინანსება მოიცავს 13 სახაზინო კოდს, საიდანაც ყველაზე არსებითია შსს-ს ცენტრალური აპარატი – სახაზინო კოდით 30 01 01 01.

ცხრილი N2. სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2017 წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები (ათას ლარებში)

პროგ. კოდი	დასახელება	2017 წ. დამტკ. ბიუჯეტი	2017 წ. დაზ. ბიუჯეტი	2017 წ. საკასო ხარჯი	სხვაობა დამტკ.- დაზუსტ.	შესრ. %
30 01 01 01	ცენტრ. აპარატი სულ	230,953.28	220,281.07	221,826.82	10,672.21	100.7 ³
	ხარჯები	207,206.28	207,337.83	208,638.07	-131.55	100.6
	შრომის ანაზღაურება	119,753.00	113,700.88	113,700.34	6,052.12	100.0
	საქონელი და მომსახურება	69,454.40	78,765.20	80,074.40	-9,310.80	101.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	23,747.00	12,659.35	12,902.60	11,087.65	101.9
	ვალდებულებების კლება	0	283.89	286.15	-283.89	100.8

²საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება (პროგრამული კოდი 30 01)

³საკასო ხარჯის გადამეტება გეგმურ მაჩვენებელთან გამოწვეულია ხაზინის ინფორმაციაში მიზნობრივი გრანტების გეგმის გაუტარებლობით, მაშინ როდესაც გრანტის სახით ათვისებული 2,250.9 ათასი ლარი, სრულად არის გატარებული საკასო ხარჯად, რაც არასწორ სურათს ქმნის.

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას

1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის (30 01 01 01) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული შედეგების შესახებ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: ფულადი სახსრების შესახებ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ დანართებს⁴ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1.1.1 მოთხოვნები

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსზე რიცხული დებიტორული დავალიანება შეადგენდა 17,328.8 ათას ლარს, რომელიც საანგარიშო პერიოდში გაზრდილია 18,415.9 ათას ლარამდე, დებიტორული დავალიანების სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრილის სახით:

⁴ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის დანართები 1-დან 12-მდე.

ცხრილი N3. დებიტორული დავალიანება (ათას ლარებში)

დასახელება	ანგარიშის ნომერი	31.12.2016	31.12.2017
მოთხ. ჯარიმებით, სანქც. და საკ. დაკავშ. სხვა შემოსავლებით	1354	378.30	888.50
მოთხ. ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახ. მიწოდებით	1355	295.20	310.90
მოთხოვნები ფულადი სახსრების დანაკლისებით	1356	182.40	182.40
მოთხ. საქონლისა და მომსახ. მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431	2,227.80	4,437.80
მოთხ. არაფინანს. აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432	4,586.60	4,636.40
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440	5,398.80	5,356.30
ანგარიშვალდ. პირთა მიმართ მოთხ. ავანსად გაც. თანხებით	1451	4,139.10	2,385.60
სხვა დანარჩენი მოთხოვნები	-	120.60	218.00
ჯამი		17,328.80	18,415.90

2017 წლის 31 დეკემბრისათვის დებიტორული დავალიანების მოცულობის 6.3%-იანი მატება ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2017 წლის 1 იანვრიდან ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი, როგორც დამოუკიდებელი საბალანსო ერთეული გაუქმდა და მის ბალანსზე რიცხული აქტივები და ვალდებულებები გაერთიანდა ცენტრალური აპარატის ბალანსში. ამავე ბალანსს დაემატა 2007 წელს ლიკვიდირებული სსიპ სპეციალიზებული სამთო მაშველის ბალანსზე რიცხული დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები, რომელთა სამართალმემკვიდრეობის საკითხი 10 წლის მანძილზე გადაწყვეტილი არ იყო. აღნიშნულის გამო, სამინისტროს ცენტრალური აპარატის საბალანსო მონაცემები ამ მიმართულებით გაუარესდა.

წინასწარი ანგარიშსწორების შედეგად წარმოშობილი დებიტორული დავალიანებები⁵

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 6,814.4 ათასი ლარი ირიცხებოდა მიმწოდებლებზე, როგორც წინასწარი ანგარიშსწორების შედეგად წარმოშობილი დებიტორული დავალიანება. წლის ბოლომდე აღნიშნული მაჩვენებელი 9,074.2 ათას ლარამდე გაიზარდა, რაც სსიპ სამთო მაშველის ბალანსზე რიცხული დავალიანებების დამატებით არის გამოწვეული.

აღნიშნული თანხიდან, 2,832.7 ათასი ლარი, 2007-2009 წლებში, ყოველგვარი საგარანტიო დოკუმენტაციის გარეშე ავანსად გადარიცხული არარეზიდენტი იურიდიული პირების ანგარიშებზე, რაც ძირითადად საიდუმლო შესყიდვებს უკავშირდება. წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნულ კომპანიებს შესრულებული აქვთ ვალდებულებები, თუმცა შესაბამისი დოკუმენტები ეკონომიკურ დეპარტამენტში არ შესულა. ერთ-ერთ კომპანიასთან კომუნიკაციის შედეგად მოპოვებული იქნა დოკუმენტაცია 118.0 ათასი ლარის ღირებულების ვალდებულების შესრულების შესახებ. საკითხის დასაზუსტებლად ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ მიმდინარეობს მუშაობა, რის შედეგადაც დაზუსტდება დებიტორული დავალიანების ოდენობა.

⁵ „მოთხოვნები საქონლისა და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“ და „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“ - ანგარიშები 1431 და 1432.

აუდიტორული პროცედურის შესაბამისად, 2017 წლის 31 დეკემბრისთვის დებიტორებზე რიცხული დავალიანებების დადასტურების მიზნით, 6 მსხვილ დებიტორ რეზიდენტ ორგანიზაციას, ჯამური დავალიანებით - 101.2 ათასი ლარი, 2018 წლის 24 აპრილს გაეგზავნა შესაბამისი წერილები. მათგან:

- J 4 უკან დაბრუნდა იმ საფუძვლით, რომ ვერ მოიძებნა ადრესატი;
- J პასუხი არ არის მიღებული 1 კომპანიისგან;
- J შპს „კავკასუს ონლაინის“ პასუხის⁶ მიხედვით, პირიქით სამინისტროს აქვს ორგანიზაციის მიმართ დავალიანება 240 ლარის ოდენობით, რომელიც სამინისტროში არსებული დოკუმენტებით ჯერ კიდევ 2009 წელს არის გადახდილი.

სსიპ სპეციალიზებული სამთო მაშველის დებიტორულ დავალიანება

2007 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით⁷ ლიკვიდირებულად გამოცხადდა შსს-ს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ სპეციალიზებული სამთო მაშველი, რომლის ქონებაც გადაეცა სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ⁸ შპს სამთომაშველს, ისე, რომ ლიკვიდირებული სსიპ-ის ბალანსზე რიცხული სხვა აქტივების და ვალდებულებების სამართალმემკვიდრეობის საკითხი არ იქნა დარეგულირებული. შედეგად, წლების მანძილზე, შსს-ს ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში მექანიკურად აისახებოდა აღნიშნული საბალანსო მონაცემები.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 აპრილის N772 განკარგულებით⁹ სსიპ-ის უფლებამონაცვლედ განისაზღვრა შსს და დაევალა მის სალიკვიდაციო ბალანსში აღრიცხული სახელფასო დავალიანების ანაზღაურება, საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება და ა.შ.¹⁰

შსს ცენტრალური აპარატის მიერ სსიპ-ის სახელფასო დავალიანებების დასაფარად, 2017 წელს გადახდილია 281.3 ათასი ლარი. ამავე დროს განხორციელდა სამთო მაშველის სალიკვიდაციო ბალანსზე რიცხული აქტივების და ვალდებულებების ცენტრალური აპარატის ბალანსზე ასახვა.

⁶ 2018 წლის 7 მაისის წერილი N01.049663

⁷ 2007 წლის 12 სექტემბერი, N523 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სპეციალიზებული სამთო მაშველის ლიკვიდაციის შესახებ“

⁸ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2007 წლის 23 აგვისტოს N1-1/1281 ბრძანება „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სამთომაშველი“-ს დაფუძნების შესახებ“

⁹ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სპეციალიზებული სამთო მაშველის ლიკვიდაციის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 12 სექტემბრის N523 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სპეციალიზებული სამთო მაშველის უფლებამონაცვლის განსაზღვრის თაობაზე

¹⁰ უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სპეციალიზებული სამთო მაშველის სალიკვიდაციო ბალანსში აღრიცხული სხვა დავალიანებების აღმინისტრირება და ლიკვიდაციასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

შედეგად, აუდიტის ობიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახა 10 წელზე მეტი ხანდაზმულობის 1,891.9 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რაც, შსს-ს ცენტრალური აპარატის ბალანსზე 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული დებიტორული დავალიანების 10%-ს აღემატება. აქედან, 99 %, ანუ 1,886.8 ათასი ლარი მოდის სამ კომპანიაზე, რომლებიც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით ლიკვიდირებულია.

შედეგად, შსს-ს ცენტრალური აპარატის აქტივების ღირებულებაში ასახულია არსებითი ოდენობის დებიტორული დავალიანებები, რომელთა სიზუსტეზეც რწმუნება ვერ მოვიპოვეთ.

მოთხოვნები ფულადი სახსრების დანაკლისებით

საბალანსო ანგარიშზე 2003-2004 წლებიდან ირიცხება 182.4 ათასი ლარის დანაკლისი, რომლის წარმოშობის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები სამინისტროში არ მოიპოვება. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ამ აქტივის რეალურობა ვერ დასტურდება. სამინისტროს განმარტებით, დანაკლისის თითოეულ შემთხვევაზე აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, თუმცა შედეგების შესახებ შესაბამის ორგანოებს ოფიციალური ინფორმაცია არ მოუწოდებიათ.

მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არაფინანსური აქტივების დანაკლისების სახით რიცხული დავალიანება შეადგენდა 5,398.8 ათას ლარს, 2017 წლის 31 დეკემბრისათვის კი ეს თანხა 5,356.5 ათას ლარამდე შემცირდა. აქედან, 4,979.0 ათასი ლარი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს განადგურებული და დაკარგული ქონების საბალანსო ღირებულებაა. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეს თანხა 5,074.9 ათას ლარს შეადგენდა, საიდანაც 95.9 ათასი ლარის ღირებულების იარაღი აღმოჩნდა შს სამინისტროს დანაყოფში და აღდგენილ იქნა შესაბამის ანგარიშზე. დანარჩენი დავალიანების საკითხი არ გადაწყვეტილა და დღემდე აქტივებად ირიცხება.

მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ ავანსად გაცემული თანხებით

ბალანსზე 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთად ირიცხებოდა 4,139.1 ათასი ლარი, რომელიც წლის მანძილზე 2,385.6 ათას ლარამდე შემცირდა. აქედან ძირითადია N1451 2 ქვეანგარიში, რომელზეც აღირიცხება მოთხოვნები იმ ანგარიშვალდებული პირების მიმართ, რომლებმაც თანხები მიიღეს ოპერატიული მიზნებისათვის.

ზემოაღნიშნული ნაშთების მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეებს ეროვნული ნივთმტკიცების სახით და შესაბამისი პროცედურების შემდეგ თანდათანობით უბრუნდება სამინისტროს, რასთან დაკავშირებითაც საიდუმლო გრიფით წარმოებს დეტალური ანალიზური აღრიცხვა და სისტემატურად მოწმდება სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ.

სინთეზური აღრიცხვის მონაცემებით, (ბრუნვათა უწყისი, ბალანსი) აღნიშნულ ქვეანგარიშზე 2,344.9 ათასი ლარი ირიცხება.

ანალიზური აღრიცხვის მონაცემებით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ანგარიშვალდებულ პირებს ერიცხებათ 2,532.0 ათასი ლარი, რაც სინთეზური აღრიცხვის მონაცემებზე 212.8 ათასი ლარით მეტია. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ გასულ წლებში, ოპერატიული მიზნებისათვის, ხშირ შემთხვევაში იყენებდნენ უცხოურ ვალუტას, რომლის კონვერტაციამაც 2017 წელს მნიშვნელოვანი დადებითი საკურსო სხვაობა გამოიწვია, რაც ანალიზურ აღრიცხვაში აისახა მაგრამ სინთეზურ აღრიცხვაში არ მოხდა მათი გადატანა.

ანუ, ანგარიშვალდებული პირების მიერ სამინისტროს სალაროში დაბრუნებული თანხით მთლიანად შემცირდა მათზე რიცხული დავალიანება, ნაცვლად იმისა, რომ დადებითი საკურსო სხვაობის თანხით გაზრდილიყო არასაოპერაციო შემოსავლები, ხოლო ანგარიშვალდებულ პირებზე რიცხული დავალიანება შემცირებულიყო მხოლოდ იმ ძირითადი თანხით, რაც თავის დროზე გაიცა საქვეანგარიშოდ. *შედეგად, აღნიშნული თანხით შემცირებულია ბალანსის აქტივები (212.8 ათასი ლარით). ამავ დროს, ფინანსურ ანგარიშგებაში შემცირებულად არის ასახული არასაოპერაციო შემოსავლების ოდენობა.*

აუდიტის მიმდინარეობისას, კერძოდ 2018 წლის 30 მაისს 206.4 ათასი ლარი¹¹ გატარდა არასაოპერაციო შემოსავლების ანგარიშზე, რაც აისახება 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

1.2.1 ვალდებულებები

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსზე რიცხული კრედიტორული დავალიანება შეადგენდა 11,787.8 ათას ლარს, 2017 წლის 31 დეკემბრისათვის კი ეს თანხა 13,764.5 ათას ლარამდე, ანუ თითქმის 17%-ით გაიზარდა. აქედან, 7,888.0 ათასი ლარი (დარიცხული საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით) 2005 წლამდე თანამშრომლებზე გაუცემელ ხელფასებს წარმოადგენს.

სსიპ სპეციალიზებული სამთო მაშველის კრედიტორულ დავალიანება

როგორც აღინიშნა, სსიპ სპეციალიზებული სამთო მაშველის სალიკვიდაციო ბალანსში აღრიცხული 10 წელზე მეტი ხანდაზმულობის ვალდებულებები, ჯამში 1,569.9 ათასი ლარის ოდენობით, ცენტრალური აპარატის ბალანსზე აისახა, რაც, შსს-ს ცენტრალური აპარატის ბალანსზე 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული კრედიტორული დავალიანების 13%-ს აღემატება. აქედან, თითქმის ნახევარი (729.0 ათასი ლარი) წარმოადგენს გადასახდელი დღგ-ს თანხას, რისი ნაშთიც შსს-ს ცენტრალურ აპარატს მანამდე არ ჰქონია. სულ, ამ ოპერაციით, ბიუჯეტის გადაუხდელი დავალიანების სახით,

¹¹ დანარჩენი თანხის საკითხი მოკვლევის/განხილვის სტადიაშია.

ცენტრალური აპარატის ბალანსის ვალდებულებები - 1,172.9 ათასი ლარით გაიზარდა. ასევე, 363.8 ათასი ლარით გაიზარდა გადასახდელი ხელფასების დავალიანება, რომელიც 2007 წლამდეა წარმოშობილი. აქედან, 2017 წელს, მთავრობის დადგენილების საფუძველზე, გადახდილია 281.3 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენი 82.5 ათასი ლარი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ ნაშთში აისახა. ცენტრალური აპარატის ბალანსზე რიცხული კრედიტორული დავალიანებების სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ცხრილი N4. კრედიტორული დავალიანებები (ათას ლარებში)

ვალდებულებები	ანგარიში ნომერი	31.12.2016	31.12.2017
ვალდებულებები დეპოზიტებით	3110	0.8	1.3
საქ. მომსახ. მოწოდებით დარიცხ. ვალდებულებები	3210	1,531.7	2,163.8
არაფინ. აქტ. მოწოდებით დარიცხ. ვალდებულებები	3220	1,373.2	1,421.9
გადასახდელი მოგების გადასახადი	3241	-	2.3
გადასახდელი დღგ	3242	-	729.0
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243	447.0	2.2
სხვა გადასახდელები	3244	510.0	510.0
შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251	7,373.2	7,889.7
ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253	9.7	12.0
ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254	1.6	(31.6)
ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260	283.3	282.7
სხვა დარიცხული მოკლევადიანი ვალდებულებები	3286	257.3	782.5
სულ		11,787.8	13,764.5

საქონლის, მომსახურების და არაფინანსური აქტივების მიწოდებით წარმოშობილი კრედიტორული დავალიანების 77.6%, ანუ - 2,780.8 ათასი ლარი 2005 წლამდეა წარმოშობილი. კრედიტორების დიდი ნაწილი აღარ ფუნქციონირებს. მაგალითად, სამინისტროს 1998 წლიდან, კრედიტორად ერიცხება ბათუმის „წყალკანალტრესტი“ (გადმოეცა სსღ-დან), კრედიტორული დავალიანებით 184.6 ათასი ლარი. ასეთი დასახელების საწარმო აღარ არსებობს და წლების მანძილზე არანაირი მოთხოვნა ამ თანხის გადახდის თაობაზე სამინისტროში არ შესულა, მაგრამ კვლავ ირიცხება კრედიტორად.

სახელწოდებით „აზერბაიჯანი“, სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსზე 2004 წლიდან ირიცხება კრედიტორი, დავალიანებით - 1,245.1 ათასი ლარი. წარმოდგენილი ინფორმაციით, სავარაუდოდ, აღნიშნული დავალიანება შესყიდვებს არ უკავშირდება, რადგან ტვირთი მოწოდებულია აზერბაიჯანის შსს-ს მიერ გრანტის სახით, რაც აღნიშნული კრედიტორული დავალიანების რეალობას ეჭვქვეშ აყენებს. აუდიტის მიმდინარეობისას საკითხი მომზადდა შესაბამისი კომისიის სხდომაზე განსახილველად.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის კრედიტორებზე რიცხული დავალიანებების დადასტურების მიზნით, 13 კრედიტორ ორგანიზაციას, ჯამური დავალიანებით - 360.4 ათასი ლარი, გაეგზავნა შესაბამისი წერილები. 7 წერილი ადრესატის მისამართის მოუძიებლობის გამო უკან დაბრუნდა, ხოლო 1-ს პასუხი

არ გაუცია. დანარჩენი 5 ორგანიზაციიდან მიღებული პასუხებიდან ირკვევა, რომ სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები არ ემთხვევა ამ ორგანიზაციების სააღრიცხვო მონაცემებს:

- J სამინისტროს კრედიტორად აღრიცხული აქვს სს „თელასი“, დავალიანებით - 6.1 ათასი ლარი. საწარმოს პასუხის მიხედვით კი, სამინისტროს საწარმოს მიმართ არ გააჩნია დავალიანება.
- J შპს „ენგურჰესის“ (დავალიანებით - 9.2 ათასი ლარი) პასუხის¹² მიხედვით სამინისტროს საწარმოს მიმართ არ გააჩნია დავალიანება.
- J შპს „ახალი ქსელების“ (კრედიტორული დავალიანებით - 78.4 ათასი ლარი) პასუხის მიხედვით კი, ორგანიზაციას, გარკვეული ოდენობის მოთხოვნები ერიცხება სამინისტროს საბალანსო ერთეულებზე, ხოლო უშუალოდ შსს-ს ცენტრალური აპარატის მიმართ მოთხოვნებზე არაფერია ნათქვამი.
- J სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის წერილით მისი მოთხოვნის ნაშთი სამინისტროს მიმართ შეადგენს 201.4 ათას ლარს. აღნიშნული დავალიანება წარმოშობილია 2003 წელს. სამინისტრომ ვერ გაარკვია დავალიანების რეალურობა და ცენტრალური აპარატის ბალანსზე, მხოლოდ 4.5 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება ირიცხება.
- J შპს „თბილქავიამშენის“ (კრედიტორული დავალიანებით - 30.3 ათასი ლარი) პასუხის მიხედვით, ორგანიზაციას, მოთხოვნები სამინისტროს მიმართ არ გააჩნია.

სამინისტროში გარკვეული საქმიანობაა გაწეული ხანდაზმული დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების შემცირების თვალსაზრისით, თუმცა ბალანსზე რიცხული მოთხოვნა-ვალდებულებების სრულყოფილი ინვენტარიზაცია წლების მანძილზე არ ჩატარებულა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს ბალანსზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების უტყუარობა და სიზუსტე ვერ დასტურდება.

1.2.2 ძირითადი აქტივები

ხარჯებში ჩამოწერილი ძირითადი აქტივები

სამინისტროში არსებული პრაქტიკით¹³, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში მივლინებულ პოლიციის ატაშეებს, სამუშაო

¹² 2018 წლის 15 მაისის წერილი N01/175

¹³ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 25 აპრილი N211 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ფულადი სარგოს (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და დანამატის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“.

პირობების შექმნის მიზნით, პირველადი მოწყობის ხარჯები (საოფისე ინვენტარისა და სხვა შესაბამისი ხარჯი) უნაზღაურდებათ წინასწარ. კერძოდ, შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე უშუალოდ ატაშეს ანგარიშზე, 2.2.10.2 მუხლით¹⁴ ირიცხება შესაბამისი თანხა.

აღნიშნული თანხით ატაშე ახორციელებს საჭირო ინვენტარის შესყიდვას და ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენას სამინისტროში.

ატაშეების მიერ შესყიდული საოფისე ინვენტარის (ტელევიზორი, ლეპტოპი და ა. შ.) ღირებულება ხშირ შემთხვევაში აღემატება 500 ლარს და აკმაყოფილებს აქტივად აღიარებისათვის მოქმედი ინსტრუქციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მიუხედავად ამისა, ისინი არ აღირიცხებიან ძირითად აქტივებად, რადგან, როგორც აღინიშნა, მათ შესაძენად თანხა გადარიცხულია საქონლის და მომსახურების შესაბამისი ქვემუხლით. აქედან გამომდინარე, სხვა მცირეფასიან ინვენტართან ერთად, აღნიშნული ძირითადი აქტივებიც, ექსპლუატაციაში გადატანისთანავე პირდაპირ ხარჯში ჩამოიწერება, თუმცა კონტროლი არ არის დაკარგული, რადგან იგი აღრიცხულია საცნობარო მუხლში (B421).

სულ, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ატაშეებს საცნობარო მუხლით ირიცხებოდათ - 74.6 ათასი ლარის ღირებულების ქონება, საიდანაც 42.9 ათასი ლარი¹⁵ ძირითად აქტივებზე მოდის, რომლებიც პირდაპირ ხარჯებში იქნა ჩამოწერილი. აღნიშნული თანხით შემცირებულია სამინისტროს აქტივების ჯამური საბალანსო ღირებულება.

ბალანსზე რიცხული არარსებული აქტივები

სამინისტროს ბალანსზე (ანგარიში 2121) სხვა ქონებასთან ერთად 2005 წლიდან უცვლელად ირიცხება 14 ცალი სხვადასხვა მოდიფიკაციის ძრავა, ჯამური ღირებულებით 11.0 ათასი ლარი, რომლის ადგილსამყოფელიც უცნობია, თუმცა წლების განმავლობაში ირიცხება ბალანსზე.¹⁶ (აღნიშნული ძრავები სამართალმემკვიდრეობის პრინციპით, ნაშთის სახით 2005 წელს გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატს). შედეგად, სამინისტროს ბალანსზე ძირითად აქტივად ირიცხება 11.0 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების არარსებული ქონება.

¹² დიპლომატიური დაწესებულებების შენახვისა და ატაშატის ხარჯი.

¹⁵ მაგალითად, 2017 წლის 20 იანვარს, იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს შს-ს ატაშეს ანგარიშზე, პირველადი მოწყობის ხარჯის სახით, ჩაირიცხა 3.5 ათასი ევრო (9,954.0 ლარის კონვერტირების გზით), რომელიც გათვალისწინებული იყო ოფისის მოსაწყობად და გადარიცხულია 2.2.10.2 ქვემუხლით. აღნიშნული თანხიდან, საოფისე ტექნიკის შესაძენად გახარჯულია 858.79 ევრო, ანუ 2,442.4 ლარი, რომელიც პირდაპირ ჩამოწერილია ხარჯებში (კრედიტი 1463, დებეტი 7290) და აღრიცხულია საცნობარო მუხლში (B421). ზემოხსენებული 2,442.4 ლარიდან, 568 ლარი გადახდილია რკინის სეიფის, ხოლო 1,279.8 ლარი სტაციონალური კომპიუტერის შესაძენად. აღნიშნული ქონება წარმოადგენს ძირითად აქტივს¹⁵, რის გამოც იგი უნდა აღრიცხულიყო შესაბამის ანგარიშზე (2100) და ცვეთაც დარიცხვოდა. შედეგად, ერთის მხრივ 1,585.6 ლარით არის შემცირებული სამინისტროს აქტივების ჯამური საბალანსო ღირებულება, მეორე მხრივ კი ცვეთის ხარჯებს დააკლდა 262.2 ლარი.

¹⁶ წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნული ქონება ირიცხებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების დაქვემდებარებაში არსებულ ცალკეულ საავიაციო ესკადრეილის ბალანსზე და ჯერ კიდევ 90-იან წლებში სარემონტოდ გაიგზავნა საქართველოს ფარგლებს გარეთ, ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ავიასარემონტო ქარხანაში. ამის შემდეგ ზემოხსენებული ძრავების ადგილსამყოფელი უცნობია.

2007 წელს ლიკვიდირებული სსიპ სამთო მაშველის ანგარიშგებაში აღრიცხულია 8 დასახელების 5.2 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომლებიც 2017 წელს, ზემოხსენებული განკარგულების საფუძველზე, მექანიკურად აისახა ცენტრალური აპარატის ბალანსზე, აქედან, 5 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, საბალანსო ღირებულებით 4.8 ათასი ლარი, წლის ბოლოს ჩატარებული ინვენტარიზაციით დაფიქსირდა დანაკლისად და აღირიცხა, როგორც მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით, თუმცა დაუდგენელია და შესაბამისად, არ არის მითითებული მატერიალურად პასუხისმგებელი პირების ვინაობა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული დანაკლისის ამოსაღებად არანაირი ღონისძიება არ გატარებულა და არც ეს მოთხოვნა შეიძლება დაკლასიფიცირდეს როგორც აქტივი.

ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთა

სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსზე არამატერიალური ძირითადი აქტივების სახით 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთად ირიცხებოდა 959.3 ათასი ლარი, რომელიც წლის მანძილზე 3,635.4 ათას ლარამდე გაიზარდა, რაც დიდი ოდენობის და ღირებულების სხვადასხვა სახის ლიცენზიებისა და კომპიუტერული პროგრამების შეძენასთან არის დაკავშირებული. აღნიშნულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვის დროს დაშვებულია შეცდომა¹⁷ და ნაცვლად 420.2 ათასი ლარისა, დარიცხულია მხოლოდ 3.6 ათასი ლარი. **შედეგად, ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთა შემცირებულია 416.6 ათას ლარით.** აუდიტის მიმდინარეობისას განხორციელდა შესაბამისი გატარება, რაც ასევე 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება.

აქტივების არასწორი კლასიფიცირება

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ანგარიშზე ირიცხებოდა 3 ერთეული 80 იარღიანი კარავი ჯამური ღირებულებით 119.3 ათასი ლარი (ერთეულის ფასი - 39.77 ათასი ლარი). 2017 წელს ამავე ანგარიშზე აღირიცხა 31 ერთეული სხვადასხვა სახის კარავი ჯამური ღირებულებით 58.2 ათასი ლარი (ერთეულის ფასი: 820 ლარიდან - 5100 ლარამდე). აქედან 20 კარავი (19.1 ათასი ლარი) გადაეცა ექსპლუატაციაში, ჩამოიწერა ხარჯებში და აღირიცხა საცნობარო მუხლებში, ხოლო დანარჩენი ინახება საწყობში.

ზემოხსენებული საქონელი აკმაყოფილებს აქტივად აღიარებისათვის მოქმედი ინსტრუქციით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რადგან ერთეულის ფასი აღემატება 500 ლარს და გამოიყენება ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში. **შედეგად, განხორციელდა აქტივების არასწორი კლასიფიკაცია: 19.1 ათასი ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები ხარჯებშია ჩამოწერილი, ხოლო 158.4 ათასი ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები აღრიცხულია, როგორც გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები და**

¹⁴ 2017 წელს შესყიდულ არამატერიალურ აქტივებზე გამორჩათ ცვეთის დარიცხვა.

შესაბამისად მათზე ცვეთის დარიცხვა არ ხორციელდება.

უძრავი ქონების ინვენტარიზაციის ჩაუტარებლობა

სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსზე რიცხული ან/და ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების ბოლო ინვენტარიზაცია ჩატარებულია 2014 წლის 15 ოქტომბრის მდგომარეობით. შედეგად დაფიქსირდა სხვადასხვა სახის შეუსაბამოები საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებსა და რეალურ მდგომარეობას შორის. შესაბამისი სამსახურების მხრიდან გარკვეული ღონისძიებები განხორციელდა არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუმცა უძრავი ქონების განმეორებითი ინვენტარიზაცია, რაც მოქმედი ინსტრუქციით¹⁸ 2017 წელს მაინც უნდა ჩატარებულიყო, 2018 წლის 1 იანვრამდე არ ჩატარებულა.

მინისტრის 2018 წლის 22 იანვრის N001/23 ბრძანებით შექმნილ საინვენტარიზაციო კომისიას დაევალი ბალანსზე რიცხული ან/და ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების ინვენტარიზაციის ჩატარება 2018 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით. ინვენტარიზაციის ჩატარების ვადა განისაზღვრა 2018 წლის 1 აპრილამდე, თუმცა აუდიტის დასრულებისას (2018 წლის მაისი) ინვენტარიზაციის შედეგები წარმოდგენილი არ იყო.

უძრავი ქონების ინვენტარიზაციის დროული და სრულყოფილი ჩატარება საჭიროა მათი კლასიფიცირების და ცვეთის შესაბამისი ნორმების დადგენის მიზნით, რადგან ზოგიერთი შენობა-ნაგებობის არსებული აღწერილობა არ იძლევა მათი მოქმედი ინსტრუქციით განსაზღვრული ძირითადი აქტივების სახეებისა და ჯგუფებისათვის სწორად მიკუთვნების შესაძლებლობას. შედეგად, არსებობს რისკი იმისა, რომ ცვეთის ნორმები განისაზღვროს არასწორად, რაც ავტომატურად გამოიწვევს ცვეთის არასწორად დარიცხვას და უარყოფით გავლენას მოახდენს ფინანსური ანგარიშგების შედეგებზე.

ღირებულების გარეშე აღრიცხული ქონება

სამინისტროს კუთვნილი აქტივების ნაწილი, განსაკუთრებით იარაღი და სხვა სპეცდანიშნულების ქონება, მხოლოდ რაოდენობრივად არის აღრიცხული, ანუ წარმოდგენილია ღირებულების გარეშე, რაც ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურებისთვის¹⁹ სისტემურ პრობლემას წარმოადგენს. შინაგან საქმეთა სამინისტროში ზოგიერთი სახის უძრავი ქონებაც (მიწა, შენობა-ნაგებობები) ასევე, მხოლოდ რაოდენობრივად არის აღრიცხული, ამიტომ სამინისტროს წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მათი ღირებულება არ აისახება. მაგალითად, სამინისტროს ბალანსზე რიცხული 674 დასახელების შენობა-

¹⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის (სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდულობა) პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტი.

¹⁹ თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროები, სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახური, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

ნაგებობებიდან 90 დასახელების, სსღ-დან და ცკპდ-დან გადმოცემული ქონება, ღირებულების გარეშე აღრიცხული და არც ისტორიული ღირებულებაა ცნობილი. აქედან გამომდინარე, სამინისტროს ანგარიშგება შეიცავს უზუსტობას. ანალოგიური მდგომარეობა მიწის აღრიცხვის საკითხებშიც.

ამ მხრივ, ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ ბოლო წლებში გარკვეული სამუშაოები ჩატარდა. შედეგად, 2017 წლებში შეფასდა და ბალანსზე აღირიცხა 443.4 ათასი ლარის ღირებულების, საქართველოს სხვადასხვა რაიონში არსებული 9 მიწის ნაკვეთი. თუმცა, ეს პროცესი არ დასრულებულა.

სამინისტროს ბალანსზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითაც ირიცხებოდა ისეთი მიწის ნაკვეთები, რომელთა შეფასება ჯერ არ იყო განხორციელებული. აუდიტის მიმდინარეობისას, 2018 წლის პირველ კვარტალში განხორციელდა აღნიშნული ქონების შეფასება და შესაბამისი გატარება, რითაც ცენტრალური აპარატის ბალანსზე რიცხული აქტივების ღირებულება ჯამში 43,058.9 ათასი ლარით გაიზარდა, რაც აისახება 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ინფორმაცია, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ღირებულების გარეშე აღრიცხული ზოგიერთი მიწის ნაკვეთის შესახებ წარმოდგენილია N5 ცხრილის სახით.

ცხრილი N5. ღირებულების გარეშე აღრიცხული ზოგიერთი მიწის ნაკვეთი

მდებარეობა	ფართობი
გარდაბანი, სოფელი მარტყოფი	38.572 კვ.მ
გარდაბანი, სოფელი მარტყოფი	10.498 კვ.მ
ქ. მცხეთა	6.640 კვ.მ
ქ.რუსთავის შემოსასვლელში	20,865 კვ.მ
გორის რ-ნი, სოფ. ქვახვრელი	46,324 კვ.მ
გორის რ-ნი, სოფ. კარალეთი	15,986 კვ.მ
გარდაბნის რ-ნი, სოფ. კრწანისი	3,177,054 კვ.მ.
ქ. თბილისი, ავჭალის ქუჩა 17	15,205 კვ.მ

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, სამინისტროს კუთვნილი აქტივების ჯამური ღირებულება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში შემცირებულადა წარმოდგენილი.

1.2.3 მატერიალური მარაგები

სამინისტროს ობიექტებზე სხვადასხვა სახის დაზიანებების ოპერატიულად (მათ შორის არასამუშაო საათებში) აღმოსაფხვრელად, ლოჯისტიკის დეპარტამენტს ყოველდღიურ რეჟიმში ესაჭიროება გარკვეული დასახელების და ოდენობის მარაგნაწილები, ნედლეული, მასალები და ა.შ. ამიტომ, დეპარტამენტის ერთ-ერთ თანამშრომელს ევალება ცენტრალური საწყობიდან საჭირო ქონების გამოწერა და სპეციალურად გამოყოფილ სათავსოში შენახვა მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე.

აღნიშნული ქონების აღრიცხვის პრაქტიკა ნაკლოვანებით ხასიათდება, კერძოდ, ცენტრალური საწყობიდან თანამშრომელზე გაცემული ქონება, რომელიც რეალურად ჯერ სათავსოში ინახება, ანუ არც

გახარჯულია და არც ექსპლუატაციაშია გადაცემული, პირდაპირ ჩამოიწერება ხარჯებში (დებეტი - 7200) და აღირიცხება საცნობარო მუხლში (B415), რაც არასწორია, რადგან მოქმედი ინსტრუქციით²⁰ საცნობარო მუხლში აღირიცხება ექსპლუატაციაში გადაცემული და არა რაიმე სახის სათავსოში დასაწყობებული მატერიალური მარაგები. გარკვეული დასახელების ქონება წლების მანძილზე ინახება ზემოხსენებულ სათავსოში²¹.

სულ, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზემოხსენებულ თანამშრომელს ერიცხებოდა უკვე ხარჯებში ჩამოწერილი, საცნობარო მუხლში ასახული და სათავსოში დასაწყობებული - 241.8 ათასი ლარის ღირებულების მარაგები. წლის მანძილზე მას მიღებული აქვს 169.8 ათასი ლარის ქონება, რომელიც ასევე პირდაპირ ჩამოიწერა ხარჯებში. ამავ პერიოდში გაცემულია - 169.1 ათასი ლარის ღირებულების მარაგები, რის შედეგადაც, ნაშთმა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 242.5 ათასი ლარი შეადგინა.

შედეგად, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 242.5 ათასი ლარის ღირებულების ქონება ნაადრევად არის ჩამოწერილი ხარჯებში, რითაც შემცირებულია სამინისტროს აქტივების ჯამური საბალანსო ღირებულება, თუმცა კონტროლი არც ამ შემთხვევაშია დაკარგული, რადგან ეს ქონება აღირიცხულია საცნობარო მუხლში.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI –ს მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

²⁰ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 11-ე მუხლის მე-5 პუნქტი (საცნობარო მუხლში „ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში“ (04) – აღირიცხება ექსპლუატაციაში გადაცემული, ხარჯებში ასახული მატერიალური მარაგები, თუ ასეთი მატერიალური მარაგების აღრიცხვა ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკითაა განსაზღვრული.)

²¹ მაგალითად, 2,055.0 ლარის ჯამური ღირებულების 30 ერთეული სანათი (D -LED. 07 A CW LCZ-68.50), ჯერ კიდევ 2012 წლიდან უცვლელად ირიცხება ნაშთად და რეალურად ექსპლუატაციაში ჯერ არ არის გადაცემული. ანალოგიურად, 1,350.0 ლარის ღირებულების 30 ერთეული წყალშემკრები ავზი, რომელიც მიღებულია 2013 წლის ოქტომბერში, გამოუყენებლად ინახება და ირიცხება ნაშთად. 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სათავსოში ინახებოდა, ასევე ხარჯებში ჩამოწერილი და საცნობარო მუხლში ასახული 232 კგ. 1,392.0 ლარის ღირებულების ანტიკოროზიული საღებავი. აქედან, 2016-2017 წლებში სულ გახარჯულია 91 კგ. (543 ლარი) და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთად, კიდევ 848 ლარის ლარის ღირებულების 141 კგ. საღებავი ირიცხებოდა.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1. შრომის ანაზღაურების დარიცხვასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სისტემის ხარვეზები

2016 წლამდე, სამინისტროს იმ სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა რაოდენობა, რომლებსაც ფინანსურ უზრუნველყოფას უწევდა ეკონომიკური დეპარტამენტი (ცენტრალური აპარატის სახაზინო კოდი - 30 01 01 01), დაახლოებით 3 ათასს შეადგენდა. 2016-2017 წლებში განხორციელებული რეორგანიზაციის (სსდც-ს, ცკპდ-ს შემოერთება და ა.შ.) შედეგად კი, ეს მაჩვენებელი დაახლოებით 9 ათას თანამშრომელამდე, ანუ, თითქმის 3-ჯერ გაიზარდა.

ცენტრალური აპარატის მიერ გაწეული ხარჯების მთლიან მოცულობაში შესაბამისად გაიზარდა თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისათვის გაწეული ხარჯების ხვედრითი წილიც. კერძოდ, 2017 წელს გაწეული 221,826.8 ათასი ლარის საკასო ხარჯიდან, 120,527.0 ათასი ლარი, ანუ - 54%, შრომის ანაზღაურების (მ.შ შტატგარეშეებზეც) მუხლითაა გაცემული.

აქედან გამომდინარე, შრომის ანაზღაურების დარიცხვის პროცესში მნიშვნელოვნად გაიზარდა გარკვეული შეცდომების რისკი, რომელსაც ვერ ფარავს შიდა კონტროლის არსებული მექანიზმები.

კერძოდ, შრომის ანაზღაურების დარიცხვა შსს-ში წარმოებს ავტომატურად, სპეციალური პროგრამის მეშვეობით, რომლის ბაზაშიც შეტანილია ყველა საჭირო ინფორმაცია²² მოქმედი თანამშრომლების შესახებ. აღნიშნულ ბაზაში ცვლილებების შეტანის საფუძველია შესაბამისი ბრძანება (თანამშრომელთა დანიშვნის, განთავისუფლების, დანაშტის დაწესების და ა.შ. შესახებ), რომელიც დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (შემდგომში - eFlow) საშუალებით ეგზავნება ეკონომიკურ დეპარტამენტს.


დეპარტამენტის შესაბამის თანამშრომელს პროგრამაში მექანიკურად (ხელით) შეაქვს საჭირო მონაცემები. ამასთან, დანიშვნის პირველ თვეს მექანიკურად ხდება ასანაზღაურებელი დღეების რაოდენობის გაანგარიშება, ბრძანებაში მითითებული თარიღიდან გამომდინარე. მომდევნო თვეებში, უკვე ბაზაში არსებული ინფორმაცია წარმოადგენს შრომის ანაზღაურების დარიცხვის საფუძველს, რომელშიც ცვლილებების შეტანა ხორციელდება მხოლოდ ახალი ბრძანების მიღების შემდეგ (პოზიციის შეცვლა, განთავისუფლება, წოდების მინიჭება, დანაშტის დანიშვნა და ა.შ.).

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე პროგრამა ავტომატურად ახორციელებს ხელფასის დარიცხვას. მინისტრის ბრძანების შესაბამისად, სახელფასო რეესტრები (დარიცხული თანხების გარეშე) ყოველთვიურად იგზავნება ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში, რომელსაც ევალება

²² თანამდებობა საშტატო ნუსხის შესაბამისად, დანიშვნის თარიღი, საფუძველი, წოდება, სტაჟი და ა.შ.

რეესტრების შედარება მათ ბაზაში არსებულ მონაცემებთან, იმის დასადგენად, რეალურად ირიცხებოდა თუ არა რეესტრში არსებული პიროვნება სამინისტროს თანამშრომლად.

სქემა N2. შრომის ანაზღაურების დარიცხვის პროცესში არსებული კონტროლის სისუსტე



აღნიშნული, გარკვეული ხასიოთის პრევენციულ ღონისძიებას წარმოადგენს, მაგრამ კონტროლის ეს მექანიზმი არ არის მიმართული თანამშრომლებზე დარიცხული (გაცემული) თანხების სიზუსტის გასაკონტროლებლად. ამასთან, ფულადი უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლების მიერ ხელფასის სპეციალურ პროგრამაში შეყვანილი ინფორმაციის გადამოწმება არ ხორციელდება.

მოქმედი ინსტრუქციით²³ ხელფასის დარიცხვის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვა ორგანიზაციის მიერ დადგენილი ფორმით (სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი ან/და სპეციალური ტექნიკური საშუალება), რაც შსს-ში ოფიციალური დოკუმენტის სახით არ წარმოებს და შესაბამისად არც ხელფასის დარიცხვისას გამოიყენება.

გარდა ამისა, სამინისტროში ხშირია შემთხვევა, როდესაც თანამშრომლის განთავისუფლება ხდება გასული თარიღით, ან შესაბამისი ბრძანება ეკონომიკურ დეპარტამენტს ეგზავნება დაგვიანებით, მაშინ როდესაც აღნიშნულ თანამშრომელზე შრომის ანაზღაურების დარიცხვა-გაცემა უკვე განხორციელებულია. შედეგად წარმოიშობა ზედმეტად გაცემული თანხები, რაც აისახება N1463

²³ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 46-ე მუხლის მე-18 პუნქტი.

საბალანსო ანგარიშზე, როგორც მოთხოვნები შესაბამისი თანამშრომლების მიმართ. მიუხედავად ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობისა, ზედმეტად გაცემული თანხების სრულყოფილად დაბრუნება ვერ ხდება და ამ ანგარიშზე რიცხული ნაშთი პერმანენტულად იზრდება.²⁴ აღნიშნულ ანგარიშზე წლის დასაწყისისთვის ირიცხებდა 29.1 ათასი ლარი, რომელიც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 51.2 ათას ლარამდე გაიზარდა, საიდანაც 7.9 ათასი ლარი ცკპდ-ს ბალანსზე რიცხული დავალიანებაა. აღნიშნული თანხა წარმოადგენს თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურების სახით ზედმეტად გაცემული თანხის იმ ნაწილს, რომლის დაბრუნება ამ პერიოდისთვის ვერ იქნა უზრუნველყოფილი.

ცენტრალური აპარატის ბალანსზე (ცკპდ-ს ჩათვლით) 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული 51.2 ათას ლარიდან, 22.0 ათასი ლარი - 2016 წლამდეა წარმოშობილი.

შესაბამისი ინფორმაცია წარმოდგენილია N6 ცხრილის სახით.

ცხრილი N6. შსს თანამშრომლებზე რიცხული სახელფასო დავალიანება

პერიოდი	ნაშთი 31.12.2016 წ.	ნაშთი 31.12.2017 წ.
2012 წლამდე მოთხოვნები	3,391.15	3,391.15
2012 წლის მოთხოვნები	1,847.91	1,847.91
2013 წლის მოთხოვნები	3,876.92	4,745.63
2014 წლის მოთხოვნები	4,934.73	4,139.50
2015 წლის მოთხოვნები	7,631.70	7,891.58
2016 წლის მოთხოვნები	7,466.51	7,260.88
2017 წლის მოთხოვნები	-	21,921.53
სულ	29,148.92	51,198.18

პრობლემას წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ ზედმეტად დარიცხული ხელფასის მომდევნო წელს დაბრუნების შემთხვევაში, სამინისტრო ვერ ახორციელებს ამ ხელფასზე დარიცხული და ბიუჯეტში გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლას, რაც იწვევს შესაბამის ანგარიშზე (1361) აღნიშნული თანხების აკუმულირებას ნაშთის სახით. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეს ნაშთი 14.0 ათას ლარს შეადგენდა, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი, 18.2 ათას ლარამდე გაიზარდა.

²⁴ მაგალითად, მინისტრის 2017 წლის 28 ნოემბრის N2861747 ბრძანებით თანამშრომელი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2017 წლის 10 სექტემბრიდან, ანუ მაშინ, როდესაც მასზე სამი თვის ხელფასი უკვე დარიცხული იყო. შედეგად, მასზე ზედმეტად დარიცხული აღმოჩნდა 3,241.62 ლარი, საიდანაც 2,593.3 ლარი ზედმეტად აღებულ თანხაა (648.32 ლარი საშემოსავლო გადასახადია). 2018 წლის 1 მაისის მდგომარეობით, აღნიშნული თანხა დაბრუნებული არ იყო. პრობლემის სისტემურობაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ამ სახის დავალიანებები ფიგურირებს სხვა საბალანსო ერთეულების ფინანსურ ანგარიშგებებშიც. მაგალითად, 2017 წლის 1 იანვრიდან ცენტრალური აპარატის დაფინანსებაზე გადაყვანილი ცკპდ-ს ბალანსზე ამავე მუხლით ირიცხებოდა 12.9 ათასი ლარი, საიდანაც 2017 წლის მანძილზე მხოლოდ 5.0 ათასი ლარის დაბრუნება მოხერხდა. დანარჩენი 7.9 ათასი ლარით კი გაიზარდა ცენტრალური აპარატის შესაბამის მუხლზე რიცხული ნაშთი.

2.2. დანამატი

სამინისტროს თანამშრომლებისათვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით²⁵ დაწესებულია დანამატები მრავალშვილიან მოსამსახურეებზე და წელთა ნამსახურობაზე. დანამატები გაიცემა აგრეთვე საკლასო ჩინისათვის.

ამასთანავე, მოქმედი კანონმდებლობით, შსს-ს თანამშრომლებს შესაძლებელია დაენიშნოთ სპეციალური დანამატები, რომელსაც ნიშნავს მინისტრი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის შტატით განსაზღვრულ თანამშრომლებზე, 2017 წელს „დანამატის“ ქვემუხლით გაწეულმა საკასო ხარჯმა 22,564.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც შრომის ანაზღაურების საერთო მოცულობის 19.9%-ს შეადგენს.

მათ შორის, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე დანიშნული სპეციალური დანამატების სახით, 162 თანამშრომელზე გაცემულია 3,573.3 ათასი ლარი.

ცხრილი N7. შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული საკასო ხარჯის ძირითადი მაჩვენებლები (2017 წ.)

დასახელება	თანხა
2017 წ. დამტკიცებული ბიუჯეტით	119,753,000
2017 წ. დაზუსტებული ბიუჯეტით	113,700,880
2017 წ. საკასო ხარჯი	113,700,340
<i>მათ შორის:</i>	
თანამდებობრივი სარგო	83,622,136
წოდებრივი სარგო	2,073,833
პრემია	5,439,653
დანამატი	22,564,715
მათ შორის: სპეციალური დანამატი	3,573,313

2017 წელს, საშუალოდ, 70-80 თანამშრომელს ჰქონდა დანიშნული თანამდებობრივ სარგოზე მეტი დანამატი (თუმცა 2016 წელთან შედარებით, ცალკეულ თანამდებობის პირებისთვის დანიშნული სპეციალური დანამატების ოდენობები შემცირებულია).

სპეციალური დანამატის დაწესების შესახებ გამოცემულ ბრძანებებში მითითებული იყო მხოლოდ დანამატის დაწესების თარიღი და არ იყო განსაზღვრული, თუ რა პერიოდით იქნა დაწესებული აღნიშნული დანამატი. შედეგად, დანამატი ინიშნებოდა განუსაზღვრელი ვადით და მისი გაუქმება ხდებოდა ასევე ბრძანების საფუძველზე. შესაბამისი ბრძანებებით არ იყო დასაბუთებული დანამატის გაცემის აუცილებლობა და ის თავისი ყოველთვიური შინაარსიდან გამომდინარე, უფრო თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებდა. სამინისტროს თანამშრომლებზე დანამატების დანიშვნის

²⁵ მინისტრის 2016 წლის 25 აპრილის N211 და 2013 წლის 01 მარტის N147 ბრძანებები.

საკითხი არ თანხმდებოდა სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტთან, რის გამოც მას არ გააჩნდა საკმარისი საფუძვლები ამ მუხლის სწორად დასაგეგმად.

2.3. ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციის ხარვეზები

სამინისტროს კუთვნილი დიდი ოდენობის მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის ჩატარება რთული პროცესია, რაც დროულად (ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში) ვერ სრულდება. აღნიშნულის გამო, ინვენტარიზაციის შედეგების ბუღალტრული ასახვა შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში ან საერთოდ ვერ ესწრება, ან არასრულყოფილად ხორციელდება. მაგალითად, 2016 წლის ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისები არ იყო ასახული 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

სამინისტროში მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციების შედეგებზე რეაგირების შესახებ შიდა ნორმატიული აქტი დამტკიცებული არ არის. არსებული პრაქტიკით, ინფორმაცია ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისის/ზედმეტობის შესახებ გენერალურ ინსპექციას ეგზავნება მოსაკვლევად. ასევე გენერალური ინსპექციის მოკვლევის საგანი ხდება სამინისტროსათვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ფაქტებიც. გენერალურ ინსპექციის მიერ განისაზღვრება დანაკლისზე/ზიანზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ბრალეულობის საკითხი და შესაბამისი დასკვნა ეგზავნება ეკონომიკურ დეპარტამენტს.

გამომდინარე იქიდან, რომ ხშირ შემთხვევაში დანაკლისის სახით დაფიქსირებული ქონების საბალანსო ღირებულება, სრული ამორტიზირებულობის გამო ნულის ტოლია, ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა განისაზღვრება ექსპერტის მიერ. ზემოაღნიშნული პროცესი კი რამდენიმე თვე გრძელდება და ამ პერიოდში ეკონომიკურ დეპარტამენტს არ აქვს შესაძლებლობა ინვენტარიზაციის შედეგები სრულყოფილად ასახოს ფინანსურ ანგარიშგებაში. (ვინაიდან პროცედურები დადგენილი და გაწერილი არ არის, შესაბამისად არ არის განსაზღვრული რეაგირების მაქსიმალური დრო). ქონება რჩება იმ საცნობარო მუხლში, რომელიც სპეციალურად არის განსაზღვრული ასეთი ტიპის დანაკლისებისთვის, ხოლო გენერალურ ინსპექციის დასკვნის მიღებამდე და ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის განსაზღვრამდე, დანაკლისის ღირებულება ვერ აისახება მოთხოვნების შესაბამის (1440) ანგარიშზე²⁶.

²⁶ მაგალითად, 2017 წლის სექტემბერში საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგად დანაკლისად დაფიქსირდა სრულად ამორტიზირებული და საცნობარო მუხლში ასახული 11 დასახელების ქონება, ისტორიული ღირებულებით - 13.4 ათასი ლარი. მათ შორის - 4.0 ათასი ლარის ისტორიული ღირებულების კინოთეატრი, 1.2 ათასი ლარის ისტორიული ღირებულების მობილური ტელეფონი და ა.შ. ბუღალტერიის მიერ ეს ქონება გადატანილია საცნობარო მუხლის დანაკლისების კოდზე, თუმცა მატერიალურად პასუხისმგებელ პირების მიმართ მოთხოვნებად ჯერ არ არის ასახული ზემოხსენებული მიზეზების გამო.

ასევე, ხანგრძლივ პერიოდს უკავშირდება ინვენტარიზაციების შედეგად გამოვლენილი ზედმეტობის შემოსავალში აღების პროცესი, რაც შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების შედეგებზე უარყოფითად აისახება.²⁷ ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივე ხარვეზი ფიქსირდება წლების განმავლობაში, ისე რომ არ ხდება შესაბამისი რეაგირება, რაც არაეფექტურს ხდის ზოგადად ინვენტარიზაციის ჩატარებას²⁸.

როგორც აღინიშნა, 2016 წლის ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისები არ იყო ასახული 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, ამიტომ, აღნიშნული შედეგები აღირიცხა 2017 წელს, თუმცა, 2017 წლის ინვენტარიზაციების შედეგების გამოყვანაც ასევე დაგვიანდა და სრულყოფილად ვერ აისახა წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში²⁹. სამინისტროში ჩატარებული 2017 წლის ინვენტარიზაციების მასალები ისე გაიგზავნა ეკონომიკურ დეპარტამენტში, რომ ზოგიერთ მათგანს არ ახლავს სპეციალური ოქმი და შესაბამისად ვერ ხდება მათი ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც ინვენტარიზაციის ჩატარების წესის³⁰ დარღვევაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროში არასაკმარისი რეაგირება ხორციელდება ინვენტარიზაციის შედეგებზე. განსაკუთრებით პრობლემატურია ის გარემოება, რომ დანაკლისის სახით უმეტეს შემთხვევაში ფიქსირდება სრულად ამორტიზირებული ქონება, რომლის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა ექსპერტის მიერ უნდა განისაზღვროს და შესაბამის მატერიალურად-პასუხისმგებელ პირს დაეკისროს მისი ანაზღაურება, რაც უმეტეს შემთხვევაში არ ხორციელდება. შედეგად, სამინისტროს ბალანსზე, წლების მანძილზე დაგროვდა საცნობრო მუხლში დანაკლისების კოდზე აღრიცხული დიდი ოდენობით შეუფასებელი ქონება, რომლებზეც არ არის დადგენილი პასუხისმგებელი პირების ბრალეულობა და არც შესაბამის ანგარიშზეა (N1440) ასახული. აღნიშნული ეწინააღმდეგება ინვენტარიზაციის ჩატარების ძირითად მიზანს (ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლი) და თუ დანაკლისის გამოვლენის შემთხვევაში არ

²⁷ მაგალითად, გდდ-ს ერთ-ერთ სამმართველოში 2017 წლის ოქტომბერში ჩატარებული ინვენტარიზაციით დაფიქსირდა 29 ერთეული მოტორიანი საწამლი აპარატის და ხელის შიგაწვისმრავიანი ხერხის ზედმეტობა. საინვენტარიზაციო აღწერაში დაფიქსირებულია, რომ ეს ქონება მიღებულია ხანძრის დროს, თუმცა არ არის მითითებული თუ კონკრეტულად ვისგან და რა ოდენობით. 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული ქონების ღირებულება ასახული არ არის, რითაც დარღვეულია ინვენტარიზაციის ჩატარების წესის მოთხოვნები.

²⁸ გდდ-ს ერთ-ერთ სამმართველოში 2016 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგების უწყისში დაფიქსირებულია 32.7 ათასი ლარის ღირებულების 132 ერთეული რობოკოპის ფორმის დანაკლისი. შენიშვნის ველში კი მითითებულია, რომ ეს ქონება ფიზიკურად გადაცემულია შსს-ს დანაყოფებზე და „მიმდინარეობს საბუთების შესაბამისობაში მოყვანა“. ანალოგიური დანაკლისია დაფიქსირებულია ერთი წლის შემდეგაც (2017 წლის დეკემბერში) და კვლავ განმარტებულია, რომ ეს ქონება სხვა დანაყოფებზეა გადაცემული, რაც ბუღალტრულად უკვე გასწორებული უნდა ყოფილიყო.

²⁹ მაგალითად, მარტო ტექნიკის დანაკლისად 1440 საბალანსო ანგარიშზე დაფიქსირდა 16.4 ათასი ლარი, საიდანაც 0.3 ათასი ლარია 2017 წელს წარმოქმნილი, ხოლო დანარჩენი 16.1 ათასი ლარი გასული 2016 წლის ინვენტარიზაციის შედეგის ასახვაა, რაც 2016 წლის ანგარიშგებაში უნდა ასახულიყო.

³⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით „საინვენტარიზაციო აღწერის შედეგებს იხილავს ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, რაზეც ფორმდება სპეციალური ოქმი. ოქმში მოყვანილ უნდა იქნეს დაწვრილებითი ცნობები დანაკლისების, დანაკარგებისა და ზედმეტობების მიზეზებისა და დამნაშავე პირების შესახებ“.

განხორციელდა სათანადო ღონისძიებები, აღნიშნული უარყოფითად იმოქმედებს აქტივების დაცულობაზე.

2.4. სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა და აღრიცხვა-ანგარიშგების ზოგადი პრობლემები

მოქმედი ინსტრუქციის მოთხოვნათა³¹ მიუხედავად, სამინისტროს არ აქვს განსაზღვრული და დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რაც ზრდის ფინანსური ანგარიშგების არასწორად მომზადებისა და წარდგენის რისკებს.

ფაქტობრივად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ძირითადად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ამასთან, მინისტრის 2009 წლის N189 ბრძანებით განსაზღვრულია ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგების საცნობარო მუხლებში ასახვის კრიტერიუმები, თუმცა აღნიშნული ბრძანება ძველია და არ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

სამინისტროში, ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის მხრიდან სათანადო ყურადღება არ ექცევა აღრიცხვა-ანგარიშგების საკითხს. შედეგად, ხშირია სამეურნეო ოპერაციის ბუღალტრულად დიდი დავიანებით ასახვის ფაქტები, რაც სამინისტროს ამ სტრუქტურულ ერთეულებს შორის არსებულ არასაკმარის კომუნიკაციაზე მიუთითებს. მაგალითად:

- J 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რუსეთ-საქართველოს ომის დროს განადგურებული და დაკარგული ქონების სახით რიცხული 95.9 ათასი ლარის ღირებულების იარაღი აღმოჩენილ იქნა შს სამინისტროს დანაყოფში. იარაღი წლების მანძილზე ინახებოდა შესაბამის დანაყოფში, მაგრამ ამის შესახებ მხოლოდ შესაბამისი წერილობითი შეკითხვის შემდეგ ეცნობა ეკონომიკურ დეპარტამენტს.
- J 2017 წლის 3 აგვისტოს ანგარიშზე N1441 აისახა 3,795.0 ლარის მოთხოვნები ერთი კონკრეტული თანამშრომლის მიმართ, რომელმაც 2007 წლის 30 მარტს სამსახურებრივი ავტომანქანით მოახდინა ავტოსაგზაო შემთხვევა, რაზეც გენერალური ინსპექციის მიერ 2007 წლის 31 აგვისტოს გაცემულია დასკვნა, რომელიც 5 სექტემბერს უკვე იყო გადაგზავნილი შესაბამის დეპარტამენტში. დასკვნის მიხედვით ავტომანქანის აღდგენის ღირებულება შეადგენდა 3,795.0 ლარს. თუმცა, აღნიშნული თანამშრომლის მიმართ მოთხოვნები არ დაფიქსირებულა. შესაბამისი გატარება განხორციელდა მხოლოდ 10 წლის შემდეგ, როდესაც თვითონ მატერიალურ პასუხისმგებელმა პირმა ითხოვა ზემოხსენებული თანხის გადახდა გადაენაწილებინათ ეტაპობრივად 24 თვეზე და

³¹ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის ³¹ დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის ა) ქვეპუნქტი.

რის შესახებაც 2017 წლის 31 აგვისტოს ეკონომიკურ დეპარტამენტს აცნობა იურიდიულმა დეპარტამენტმა³².

ელექტრომობილებზე ცვეთის დარიცხვის საკითხი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 26 დეკემბრის N1-1/566 ბრძანების შესაბამისად შსს-ს გადაეცა იაპონიის მთავრობის მიერ არასაპროექტო გრანტის ფარგლებში გადმოცემული, 11,092.6 ათასი ლარის ჯამური საბალანსო ღირებულების 96 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, მათ შორის, 51 ერთეული ელექტრომობილი, ღირებულებით - 5,342.3 ათასი ლარი.

მოქმედი ინსტრუქციით³³ ელექტრომობილების ცვეთის ნორმა დადგენილი არ არის, ამიტომ მათ ცვეთა დაერიცხა 14%-ის ოდენობით, რაც ინსტრუქციის მიხედვით წარმოადგენს ელექტროძრავების ცვეთის ნორმას. ამავე ინსტრუქციის მიხედვით, ცვეთის დარიცხვა იმ ძირითად აქტივებზე, რომლებიც მოცემული არ არის დამტკიცებულ ერთიან ნორმებში, წარმოებს ერთგვაროვან (ანალოგიურ) ძირითად აქტივებზე არსებული ცვეთის ნორმების შესაბამისად. ხოლო, ცვეთის ერთგვაროვანი ნორმების გამოყენების შეუძლებლობისა და ძირითადი აქტივების ახალი ტიპების შექმნის შემთხვევაში, ორგანიზაციები შეიმუშავენ ცვეთის ნორმების შესაბამის პროექტებს და დასამტკიცებლად წარუდგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

იქიდან გამომდინარე, რომ ელექტრომობილი არ შეიძლება ელექტროძრავის ერთგვაროვან (ანალოგიურ) აქტივად ჩაითვალოს, სამინისტროს უნდა შეემუშავებინა ცვეთის ნორმების შესაბამისი პროექტი და დასამტკიცებლად წარედგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის. იქიდან გამომდინარე, რომ ინსტრუქციით მსუბუქი ავტომობილების ცვეთის ნორმა არ აღემატება 13%-ს, ელექტრომობილებს ჯამურად, მაქსიმუმ 694.5 ათასი ლარის ცვეთა უნდა დარიცხვოდა, რეალურად კი დაერიცხა 747.9 ათასი ლარი, ანუ მინიმუმ 53.4 ათასი ლარით მეტი.

იარაღზე ცვეთის დარიცხვის საკითხი

სამინისტროს ბალანსზე ირიცხება დიდი ოდენობით იარაღი, რომელთა ნაწილი აკმაყოფილებს ძირითად აქტივად აღიარებისათვის მოქმედი ინსტრუქციით განსაზღვრულ მოთხოვნებს, თუმცა დამკვიდრებული პრაქტიკით მათზე ცვეთის დარიცხვა არ ხორციელდება. მოქმედი ინსტრუქციით³⁴ იარაღის ცვეთის ნორმა დადგენილი არ არის, თუმცა არც ის არის აღნიშნული რომ იარაღს ცვეთა არ

³² იურიდიული დეპარტამენტის 2017 წლის 31 აგვისტო N2085643 წერილი

³³ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

³⁴ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

ერიცხება. ინსტრუქციით³⁵ ცვეთა არ ერიცხება მხოლოდ კულტივირებულ აქტივებს, დაუმთავრებელ ძირითად აქტივს და საბიზლიოთეკო ფონდებს.

ამასთან, არალოგიკურია იარაღის სხვა რაიმე სახის ძირითადი აქტივის ერთგვაროვან (ანალოგიურ) აქტივად აღიარება და ცვეთის მსგავსი ნორმების გამოყენება. აქედან გამომდინარე, ამავე ინსტრუქციის³⁶ მიხედვით, სამინისტრომ უნდა შეიმუშავოს ცვეთის ნორმების შესაბამისი პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

2.5. განმარტებით შენიშვნებში ანგარიშგების მუხლების შესახებ არასაკმარისი ინფორმაცია

სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებში არასაკმარისადაა წარმოდგენილი ანგარიშგების მუხლების ტექსტური აღწერილობა და მათ შესახებ დეტალური ინფორმაცია.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ განმარტებით შენიშვნებში არაფერია ნათქვამი შეფასების საფუძვლების შესახებ. ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი ნორმების თანახმად კი მიზანშეწონილია განმარტებით შენიშვნებში მითითებული იყოს შეფასების საფუძვლებიც, რადგან აღნიშნული საფუძვლები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე³⁷.

განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ბიუჯეტის გეგმურ მაჩვენებლებსა და ფაქტობრივ შესრულებას შორის არსებული განსხვავების მიზეზები. ასევე არ არის მითითებული სხვა რომელიმე ანგარიში, სადაც აღნიშნული გადახრის მიზეზები იქნება ახსნილი, რითაც დარღვეულია მოქმედი ინსტრუქციის³⁸ მოთხოვნები და რაც ხელს უშლის ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

2.6. დებიტორების მიერ უკან დაბრუნებული თანხები

დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც წლის განმავლობაში კონტრაქტორი კომპანიებისთვის ავანსად გადარიცხული თანხების უკან დაბრუნებისას, აღნიშნული თანხა ბუღალტრულად ტარდება

³⁵ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

³⁶ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი.

³⁷ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 41-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

³⁸ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 38-ე მუხლის მე-8 და მე-12 პუნქტები.

არასწორად. კერძოდ, ავანსის თანხა, რომელიც აღრიცხულია როგორც მოთხოვნები (ანგარიში N1430) შესაბამისი კომპანიების მიმართ, უკან დაბრუნების შემდეგაც, ისევ ამ ანგარიშის დებეტში ტარდება მინუსი ნიშნით, რაც ეწინააღმდეგება ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედ ნორმებს³⁹, რომლის მიხედვითაც, მიმდინარე წელს გადახდილი თანხების მობრუნება აისახება დაფინანსების (4000) შესაბამისი ანგარიშების დებეტში 1250 ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით. ამ მოთხოვნების დარღვევით, 2017 წელს კომპანიების მიერ ავანსად გადახდილი თანხებიდან უკან დაბრუნებული 162.63 ათასი ლარია აღრიცხულია N1430 („მოთხოვნები წინასწარი გადახდებით“) ანგარიშზე უარყოფითი ნიშნით. ანალოგიური მდგომარეობაა შრომის ანაზღაურების, მივლინებების და სხვა სახის ავანსად გადარიცხული და უკან მობრუნებული თანხების აღრიცხვის თვალსაზრისითაც. შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, შენიშვნა უკვე გათვალისწინებულია და მსგავსი გატარებები პრაქტიკულად აღარ ხორციელდება.

³⁹ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 88-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

3. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და უტყუარ წარდგენაზე, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელების პასუხისმგებლობაა შეაფასონ კომპანიის უნარი განაგრძოს უწყვეტი მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ორგანიზაციამ, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში უნდა გაამჟღავნონ ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენონ აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან თუ მათ არ აქვთ რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცნენ.

ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლებზე.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით, და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ს მიხედვით ჩატარებული აუდიტი გამოავლენს არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ISSAI - ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ჩვენ აგრეთვე:

-)/ ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებული იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარისს და შესაფერის აუდიტის მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით დაშვებული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის სისუსტეს.
-)/ ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან, და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურად მუშაობის თაობაზე.
-)/ ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას.
-)/ ვასკვნით, ხელმძღვანელების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი უზუსტობა, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს ორაგანიზაციის უნარში განაგრძოს ფუნქციონირება. თუ გამოვლინდა არსებითი უზუსტობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე ფინანსურ

ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები შეუფერებელია - მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტის მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის, თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ექვეყნებ დააყენონ საწარმოს ფუნქციონირებადობის საკითხი.

- ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ზოგად ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. აგრეთვე, აკმაყოფილებს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ტრანზაქციების და მოვლენების უტყუარად წარდგენის კრიტერიუმებს.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროს ფარგლებში ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციისა და საქმიანი აქტივობების შესახებ, რომ შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, გაკონტროლებაზე და განხორციელებაზე. აგრეთვე, ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს დასკვნაზე.
- ჩვენ ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვაცნობთ აუდიტის მასშტაბს და ვადგენს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შეიძლება კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.


აუდიტორთა ხელმოწერა:
სახელი, გვარი

თემურ ჩილინდრიშვილი
(მთავარი აუდიტორი)

თამუნა ბერუაშვილი
(აუდიტორი)

სალომე კვანტალიანი
(აუდიტორი)

ხელმოწერა



თ. ბერუაშვილი

ს. კვანტალიანი

დანართები

ფინანსური ანგარიშგების ფორმები

ფორმა №1 - ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

დასახელება	31.12.2017	01.01.2017
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფულადი სახსრები	3,034,705	2,501,916
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1,400,127	869,898
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	17,015,629	16,458,867
სხვა მატერიალური მარაგები	75,365,692	73,929,457
სულ მოკლევადიანი აქტივები	96,816,153	93,760,138
გრძელვადიანი აქტივები		
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	-	-
სტრატეგიული მარაგები	-	-
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	22,129,583	22,227,605
ძირითადი აქტივები	189,799,620	171,797,827
ფასეულობები	-	-
არაწარმოებული აქტივები	32,692,799	32,237,672
საინვესტიციო ქონება	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	244,622,002	226,263,104
ბალანსი	341,438,155	320,023,242
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	1,318	800
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	13,764,638	11,787,047
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	13,765,956	11,787,847
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	13,765,956	11,787,847
სულ ვალდებულებები	13,765,956	11,787,847
კაპიტალი		
აქტივების წმინდა ღირებულება	327,672,199	308,235,395
გაუნაწილებელი მოგება	-	-
დაუფარავი ზარალი	-	-
სულ კაპიტალი	327,672,199	308,235,395
ბალანსი	341,438,155	320,023,242

ფორმა №2 - ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტი	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	31.12.2016
ბიუჯეტიდან დაფინანსება	221,826,828		221,826,828	178,158,432
შემოსავლები	44,784,129	-	44,784,129	131,100,560
გადასახადები	-	-	-	-
სოციალური შენატანები	-	-	-	-
გრანტები	43,788,424	-	43,788,424	130,251,414
სხვა შემოსავლები	995,705	-	995,705	849,146
ა. შემოსავლები საკუთრებიდან	-	-	-	-
ბ. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	-	-	-
გ. სანქციები, ჯარიმები, საურავები	951,715	-	951,715	670,471
დ. ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	24,622	-	24,622	-
ე. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	19,368	-	19,368	178,675
სულ	266,610,957	-	266,610,957	309,258,992
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	113,729,251	-	113,729,251	85,553,685
საქონელი და მომსახურება	58,017,914	-	58,017,914	44,120,008
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	22,735,721	-	22,735,721	21,014,222
პროცენტი	-	-	-	-
სუბსიდიები	-	-	-	-
გრანტები	49,461,797	-	49,461,797	157,774,120
სოციალური უზრუნველყოფა	1,846,016	-	1,846,016	1,691,623
სხვა ხარჯები	14,473,661	-	14,473,661	22,759,626
სულ	260,264,360	-	260,264,360	332,913,284
ფინანსური შედეგი	6,346,597	-	6,346,597	(23,654,292)

ფორმა №3 - ფულადი მოძრაობის შესახებ ანგარიში

დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	19,436,804	-	-	19,436,804
კორექტირებები:	(6,001,929)	-	-	(6,001,929)
ცვეთა (+)	22,735,721	-	-	22,735,721
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+)	(28,257,745)	-	-	(28,257,745)
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	(1,436,235)	-	-	(1,436,235)
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები ზრდა/კლება (-/+)	98,022	-	-	98,022
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	(1,035,971)	-	-	(1,035,971)
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	1,894,279	-	-	1,894,279
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	13,434,875	-	-	13,434,875
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-	-
ძირითადი აქტივები	-	-	-	-
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
არაფინანსური აქტივების შესყიდვა	12,902,604	-	-	12,902,604
ძირითადი აქტივები	12,902,604	-	-	12,902,604
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	(12,902,604)	-	-	(12,902,604)
ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	-	-	-	-
წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	518	-	-	518
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	518	-	-	518
ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება^ა	532,789	-	-	532,789
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	2,501,916	-	-	2,501,916
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	3,034,705	-	-	3,034,705
ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)	-	-	-	-
დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)	-	-	-	-

ფორმა №4 - კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში

დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
საწყისი ნაშთი	308,235,395	-	308,235,395
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები	-	-	-
წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომები	-	-	-
გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი	308,235,395	-	308,235,395
არასაოპერაციო შემოსავლები	20,111,824	-	20,111,824
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	-	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	20,111,824	-	20,111,824
არასაოპერაციო ხარჯები	5,893,293	-	5,893,293
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	-	-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	5,893,293	-	5,893,293
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	1,128,324	-	1,128,324
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	1,128,324	-	1,128,324
მოგების გადასახადი	-	-	-
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	6,346,597	-	6,346,597
ნაშთი წლის ბოლოს	327,672,199	-	327,672,199

ფორმა №5 - ბიუჯეტის და ფაქტიური თანხის შედარების ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა % დაზუსტებულ და დამტკიცებულ გეგმას შორის	საკასო (ფაქტობრივ) ხარჯი	გადახრა % საკასო (ფაქტობრივ) ხარჯსა და დაზუსტებულ გეგმასა შორის	დარიცხული ხარჯი	გადახრა დარიცხულ და საკასო (ფაქტობრივ) ხარჯს შორის
ხარჯები	207,026,000	207,337,829	(0)	208,638,070	(1)	260,264,360	51,626,290
მათ შორის:							
შრომის ანაზღაურება	119,753,000	113,700,882	5	113,700,337	0	113,729,251	28,914
არაფინანსური აქტივების ზრდა	22,147,000	12,659,345	43	12,902,604	(2)	-	-
ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	50,000	309,443	(519)	286,154	8	-	-

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE